საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

07/02/2025

MES 2 25 0000122799

გადაწყვეტილება

სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ემუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის№65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე, იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5- ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია, დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ემუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან ან „არ არის შესაბამისობაში

სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) 2024 წლის 30 აპრილს წარმოდგენილ იქნა სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის № 06.01/1127 წერილი (ცენტრში რეგისტრაციის - № 485638, 01/05/2024), რომლითაც დაწესებულებამ წარმოადგინა სააკრედიტაციო განაცხადი "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო და "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თაობაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2024 წლის 23 ივნისის №727925 ბრძანების საფუძველზე, სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2024 წლის 21 აგვისტოს №998501 ბრძანებით შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც დაწესებულებაში ვიზიტი "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო და "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით განახორციელა 2024 წლის 20 და 21 სექტემბერს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	**x**			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		**x**		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		**x**		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	x			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	x			

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა **2025 წლის 24 იანვარს.** სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული სტანდარტების საერთო შეფასება, კერძოდ საბჭომ სტანდარტის 1.5 კომპონენტთან დაამატა რეკომენდაცია: „რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსების „ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლების“ და „რისკების მართვა და დაზღვევის“ ლიტერატურა და თემატიკა“. შედეგად, სტანდარტის 1.5 კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან“, განისაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან“. სტანდარტის 1.5 კომპონენტის ცვლილებას გავლენა არ მოუხდენია პირველი სტანდარტის საერთო შეფასებაზე.
საბჭომ რჩევაში გადაიტანა სტანდარტის 2.1 კომპონენტთან არსებული რეკომენდაცია: „რეკომენდებულია უზრუნველყოფილ იქნას პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ დეტალური ინფორმაციის განთავსება დაწესებულების ვებგვერდზე და სხვა საინფორმაციო არხებზე“. შედეგად სტანდარტის 2.1 კომპონენტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან“, განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან“.
საბჭომ სტანდარტის 2.4 კომპონენტთან დაამატა რეკომენდაცია: „რეკომენდებულია შეფასების სისტემა მოვიდეს შესაბამისობაში მოქმედ საკანონმდებლო რეგულაციასთან („უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 ბრძანება).“ შედეგად, სტანდარტის 2.4 კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან“, განისაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან“. ზემოაღნიშნული ცვლილებებს გავლენა არ მოუხდენია მე - 2 სტანდარტის საერთო შეფასებაზე. საბჭომ ასევე რჩევაში გადაიტანა სტანდარტის 3.1 კომპონენტთან არსებული რეკომენდაცია: „რეკომენდებულია გაზარდოთ სტუდენტთა წარმომადგენლობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც სტუდენტებს პროგრამის შემუშავებისა და შერჩევის პროცესებში უფრო აქტიურად მონაწილეობის საშუალებას მისცემს და მათი პოზიცია არ შემოიფარგლოს მხოლოდ კითხვარების მეშვეობით მიღებული უკუკავშირით“, აღნიშნულ ცვლილებას გავლენა არ მოუხდენია სტანდარტის 3.1 კომპონენტის შეფასებაზე, ვინაიდან 3.1 კომპონენტთან ასევე გაცემული იყო სხვა რეკომენდაციაც.
საბჭომ რჩევაში გადაიტანა სტანდარტის 3.2 კომპონენტთან არსებული რეკომენდაცია: „რეკომენდებულია გადაიხედოს სტუდენტთა ნაშრომებში პლაგიატის დასაშვები ზღვარი“, შედეგად სტანდარტის 3.2 კომპონენტი, ნაცვლად, „მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის

სტანდარტის მოთხოვნებთან“, განისაზღვრა, როგორც „შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან“, ზემოაღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით აკრედიტაციის მე - 3 სტანდარტის შეფასება, ნაცვლად, „მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან“, განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან“.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ 15 ხმით არცერთის წინააღმდეგ:

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 24 იანვრამდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო და "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 07 თებერვლის№120946 ოქმის №02 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

4. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევებ ი:

რეკომენდაციები:

1. „რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსების „ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლების“ და „რისკების მართვა და დაზღვევის“ ლიტერატურა და თემატიკა“;
2. რეკომენდებულია შეფასების სისტემა მოვიდეს შესაბამისობაში მოქმედ საკანონმდებლო რეგულაციასთან (უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 ბრძანება);
3. რეკომენდებულია გაიზარდოს პროგრამაში სტუდენტთა საერთაშორისო მობილობის მაჩვენებელი;
4. რეკომენდებულია გაფართოვდეს პრაქტიკული გამოცდილების მიღების შესაძლებლობები, უზრუნველყოფილ იქნას მეტი პრაქტიკული სწავლების შესაძლებლობა, განსაკუთრებით ინგლისური ენის ცოდნისა და საზღვაო უნარ- ჩვევების მიმართულებით, რათა უკეთ მოამზადოთ სტუდენტები პროფესიული როლებისთვის.

რჩევები:

1. სასურველია უზრუნველყოფილ იქნას პროგრამებზე დაშვების წინაპირობების შესახებ დეტალური ინფორმაციის განთავსება დაწესებულების ვებგვერდზე და სხვა საინფორმაციო არხებზე;
2. სასურველია გაიზარდოს სტუდენტთა წარმომადგენლობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც სტუდენტებს პროგრამის შემუშავებისა და შერჩევის პროცესებში უფრო აქტიურად მონაწილეობის საშუალებას მისცემს და მათი პოზიცია არ შემოიფარგლოს მხოლოდ კითხვარების მეშვეობით მიღებული უკუკავშირით;
3. სასურველია გადაიხედოს სტუდენტის ნაშრომებში მსგავსების დაშვების ზღვარი;
4. სასურველია გაძლიერდეს სამეცნიერო/კვლევითი უნარების კომპონენტი საბაკალავრო პროგრამაში, მაგალითად, საბაკალავრო ნაშრომის შემოღებით ან კვლევითი პროექტების დამატებით;
5. სასურველია ჩატარდეს შრომის ბაზრის მიზანმიმართული კვლევა, რათა მოხდეს მოთხოვნადი კომპეტენციების იდენტიფიცირება და მიღებული შედეგები გამოყენებული იქნას საგანმანათლებლო პროგრამების გასაუმჯობესებლად. ეს მიდგომა უზრუნველყოფს პროგრამების შესაბამისობას შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებთან, რაც კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობასა და დასაქმების შესაძლებლობებს გაზრდის;
6. სასურველია ჩაატარდეს უფრო ღრმა ანალიზი და უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბდეს კავშირი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამებს შორის. ეს უკეთ დაასაბუთებს ამ პროგრამების აქტუალობასა და მნიშვნელობას თანამედროვე შრომის ბაზრის კონტექსტში;
7. სასურველია გაძლიერდეს დაინტერესებული მხარეების, განსაკუთრებით დამსაქმებლების, ჩართულობა როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამებში. მჭიდრო თანამშრომლობა დამსაქმებლებთან უზრუნველყოფს პროგრამების შესაბამისობას დარგის მოთხოვნებთან და კურსდამთავრებულთა აღჭურვას იმ უნარებითა და კომპეტენციებით, რომლებიც მოთხოვნადია შრომის ბაზარზე;
8. სასურველია განახლდეს ინგლისური ენის სასწავლო რესურსები;
9. სასურველია გაძლიერდეს თანამშრომლობა საერთაშორისო პარტნიორებთან, ხელი შეეწყოს სტუდენტთა ჩართულობას საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო პროექტებში;
10. სასურველია შემუსავდეს მექანიზმი სტუდენტური სამეცნიერო პუბლიკაციების წახალისებისთვის, მაგალითად, საუკეთესო კვლევითი ნაშრომების გამოქვეყნების შესაძლებლობის მიცემით;
11. სასურველია გაძლიერდეს სწავლა-სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვა, მაგალითად, სასწავლო პროცესში მეტი ინტერაქტიული და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით;
12. სასურველია გაძლიერდეს აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია შეფასების თანამედროვე მეთოდებში, განსაკუთრებით ონლაინ და ჰიბრიდული სწავლების პირობებში;
13. სასურველია წახალისდეს საერთაშორისო აკადემიური პერსონალის მეტი ჩართულობა პროგრამებში;
14. სასურველია გაგრძელდეს მუშაობა ქართულენოვანი სასწავლო რესურსების გაზრდის მიმართულებით;
15. სასურველია დასრულდეს ბათუმის კორპუსში ბიბლიოთეკის გაფართოება;

16. პროგრამების სამიზნე ნიშნულების შეფასების და ანალიზის შედეგების შესახებ დაინტერესებული მხარეების ცოდნის გაღრმავების მიზნით, სასურველია ხარისხის უზრუნველყოფის მონაცემების უფრო ინტენსიურად გამოყენება.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 24 იანვარს.
6. საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 1 წელი - 2026 წლის 24 იანვრამდე.
7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) დაწესებულების ინფორმირების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
მდივანი
ტეფნაძე დავით

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლომინაძე თამარ

ელექტრონული მფლობელობა

დანართი №1

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	180
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ბათუმი 6010, რუსთაველის ქ. №53 საქართველო, ფოთი, 4400, წმ.გიორგის ქ. №24
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლასწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2025 წლის 24 იანვარი

17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა	1 წელი - 2026 წლის 24 იანვრამდე.
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2032 წლის 24 იანვარი